

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #3

ქ. ბათუმი

21 დეკემბერი, 2015 წელი

აჭარის ა.რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული) მისი უფროსის მოადგილის ვახტანგ მუჟაბანაძის სახით, ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „დაცვად“ წოდებული), აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის კარლო ურუშაძის სახით, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის ს¹ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „დაცვა“ უზრუნველყოფს აჭარის ა.რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ოფისის დაცვას (შემდგომში „ობიექტად“, წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.#72ა;
- 1.2 „ობიექტის“ დაცვა განხორციელდება „დამკვეთის“ მიერ „ობიექტის“ დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და „დაცვის“ მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;
- 1.3 „ობიექტის“ დაცვას განხორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

- 2.1 „დაცვის“ მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 135 (ას ოცდათხუთმეტი) ლარს, დ.დ.გ-ს ჩათვლით, (CPV კოდი 79700000);
- 2.2 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1620 (ათას ექვსას ოცი) ლარს დ.დ.გ-ს ჩათვლით;
- 2.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს;
- 2.4 „დაცვის“ მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 „დაცვა“ ვალდებულია:

- 3.1.1 დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცეს „დამკვეთს“ საკონტროლო პანელი კლავიატურით, რადიო გადამცემი, რადიო გადამცემის ყუთი, რადიო გადამცემის პლატა და უზრუნველყოს მათი მონტაჟი-ინსტალაცია;
- 3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიცემიდან მყისიერად, არაუგვიანეს 5(ხუთი) წუთისა მოახდინოს „ობიექტზე“ გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;
- 3.1.3 „ობიექტზე“ აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს“ და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცავს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.4 „დამკვეთს“ ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს მიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „დამკვეთის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას და ადასტურებს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელმოწერა;

3.1.6 სიგნალ „განგაშის“ მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად გამოიძახოს „დამკვეთი“ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხის მგებელი პირი;

3.1.7 არ მიიღოს „ობიექტი“ დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც „დაცვისგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც დამკვეთს ეცნობება წინასწარ;

3.1.8 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „დაცვის“ ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „დამკვეთის“ დაუდევრობამ;

3.2 „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.2.1 „ობიექტის“ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 განგაშის შემთხვევაში „დაცვას“ მისცეს დასაცავი „ობიექტის“ გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „დაცვას“, დაელოდოს „დაცვის“ წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 დაცვითი სისტემა აღჭურვოს ახალი სარეზერვო მკვებავი საშუალებებით და მინიმუმ 18 თვეში ერთხელ უზრუნველყოს მათი აუცილებელი განახლება. მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იქონიოს დასამუხტი მოწყობილობა და სარეზერვო მკვებავი საშუალებები, დაიცვას მათი ექსპლუატაციის პირობები და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს მათი შეცვლა;

3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომელიც წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „დამკვეთი“-სთვის) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ“ პუნქტით;

3.2.7 არ დაუშვას „შემსრულებლის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის წარმომადგენლის გარეშე;


3.2.8 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „დაცვას“.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.



Handwritten signature in blue ink.



მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 მომსახურება ვადა განისაზღვროს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის შემდეგ და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული „ობიექტის“ მოკვლევის აქტი;

6.2. „დაცვა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იხსნის თუ „დამკვეთი“ არ განახორციელებს მოკვლევის აქტში „დაცვის“ მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულებას;

6.3 „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

6.5 ზიანის დადასტურების შემთხვევაში „დამკვეთმა“ 3.2.6 პუნქტში მითითებული თანხის გადახდა უზრუნველყოს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ათი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

6.7 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.8 „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურების ტარიფის ცვლილებების შესახებ, რომელიც წერილობით ეცნობება „დამკვეთს“ ერთი თვით ადრე;

6.9 „დაცვა“ ობიექტის დაცვის მომსახურების შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელებს 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „დაცვით“-სათვის) შემოწმებას და დემონტაჟს;

6.10. „დამკვეთი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ დაცვა არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, რაზედაც წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე;

6.11. სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;


6.12. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

6.13. წინამდებარე ხელშეკრულების ძალში შესვლის დღიდან შეწყდეს 2014 წლის 29 დეკემბრის #813 (#2) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. (აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ობიექტის ტექნიკური საშუალებებით დაცვის შესახებ)

6.14. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „დამკვეთთან“ ხოლო ერთი „დაცვასთან“.



Handwritten signature in blue ink.



მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

„დამკვეთი“

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სიტემების მართვის დეპარტამენტი: საიდ. კოდი - 245538333, მისამართი - ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. #72ა, სს „თიბისი ბანკი“, კოდი-TBCBGE, ა/ა GE62TB7901736010100015, ტელ. 24 73 66.

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ვახტანგი ნუგუნაძე.



„დაცვა“

შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; ს/კ-211350928, მის. - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ. მიმდების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; მიმდების დასახლება-ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი-TRESGE22; მიმდების ანგარიში/სახაზინო კოდი-707117043; აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო, ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერძის ქ. #11, ტელ: 27 74 31, 27 02 89.

სამმართველოს უფროსი:

კარლო ურუშაძე

